სამეთვალყურეო საბჭოს, როგორც მოწვეული და დამოუკიდებელი დირექტორებით დაკომპლექტებული სუპერვიზიის განმახორციელებელი მენეჯმენტის როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

თეონა ბერიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თეონა ბერიტაშვილი:

აბსტრაქტი

თითოეული კორპორაციის წარმატების ან მარცხის უკან დგას დირექტორი, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც მიიღწევა სხვადასხვა შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იდეალური მართვის მოდელი, დროის ცვლილებასთან ერთად, ყალიბდება კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკა. კორპორაციების სურვილი იყვნენ კონკურენტუნარიანები, უბიძგებს კორპორაციული მართვის საკეთესო პრაქტიკის გაზიარებისკენ.

მრავალწლიანი პრაქტიკის მიუხედავად, „კარგი კორპორაციული მართველობის“ საკითხი მსოფლიო დონეზე ინარჩუნებს აქტუალურობას. ინტერესის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არის ეკონომიკური კეთილდღეობა. მსოფლიო ეკონომიკა, ხომ დიდი კორპორაციებისგან შედგება. სწორედ იმიტომ, რომ მსოფლიოში მოწესრიგებული იყოს კორპორაციების მმართველობა, მუშავდება და დროთა განმავლობაში განახლებადია ის წესები, რაც ითვლება კარგ კორპორაციულ მმართველობად.

კორპორაციული მართვის პრაქტიკა აჩვენებს, რომ მართველ რგოლში მნიშვნელოვანია, როგორც დამოუკიდებელი წევრების არსებობა ასევე, ზედამხედველი ორგანოების აქტიური სუპერვიზია. ზედამხედველი ორგანო, როგორც აქციონერების ინტერესების გამტარებელი რგოლი, გვევლინება კონტროლის საუკეთესო საშუალებად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კორპორაციული მართვა, დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო.

Abstract

Behind every success or failure of each corporation standing director, the different result is based on the decision. In spite of, that there is no ideal management model, with time-reversal will take a final form the best practices of corporate governance. The corporation's desire to be competitive, giving a push to share the best practices of corporate governance.

Despite of many years of practice, “Good Corporate Governance” is the topical question of the world. The main reason of interest is economic prosperity. Surely the world economy, is made up of large corporations. That's because of the world must regulated corporate governance, rules processed and updated over time, which is considered a good corporate governance.

Corporate governance practice shows that, it is important in the management team to have as the existence of independent members also the supervisory authority active supervision. Supervisory authority, as the shareholders' interests’ conductor, represents the best control means.

Key words: Corporate Governance, Board of Directors, Supervisory Board.